განმარტებითი ბარათი

„ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით“ შეთანხმებასთან დაკავშირებით

2010 წლის 18 მარტს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მიიღო აქტი უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის შესახებ – Foreign Account Tax Compliance Act (FATCA) ამერიკის რეზიდენტების მიერ გადასახადების დაფარვის ფაქტების აღმოფხვრის მიზნით.

FATCA-ს შესაბამისად უცხოურ საფინანსო ინსტიტუტები ვალდებულნი არიან მიაწოდონ ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების შემოსავლების სამსახურს (Internal Revenue Service, IRS) ამერიკის იმ რეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ, რომლებიც ასეთ ინსტიტუტებში ფლობენ საბანკო ანგარიშებს. ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული ფინანსური ინსტიტუტები აღნიშნულ აქტთან შეუსაბამობაში მყოფ უცხოურ ფინანსურ ინსტიტუტებს დაუკავებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში რეგისტრირებული წყაროდან მიღებული შემოსავლიდან 30%-ს.

აღნიშნული რეგულაცია ძალაში შევიდა 2013 წლის 17 იანვრიდან. იგი სავალდებულოა ყველა უცხოური საფინანსო ინსტიტუტისათვის და მისი არ შესრულება ითვალისწინებს სანქციების დაწესებას. დადგენილი ვალდებულების შესრულების საწყის თარიღად ამერიკული მხარის მიერ განისაზღვრა 2014 წლის 30 ივნისი.

იმისათვის რომ არ მოხდეს სანქციების გამოყენება საქართველოში რეგისტრირებული საფინანსო ინსტიტუტებისათვის საქართველომ, უნდა გააფორმოს მთავრობათაშორისი ხელშეკრულება და საქართველოში არსებული ფინანსური ინსტიტუტები უნდა დარეგისტრირდნენ ამერიკის შემოსავლების სამსახურის პორტალზე, რათა დათქმული პერიოდისთვის მოხდეს საქართველოს მხრიდან ინფორმაციის მიწოდება (2015 წლის სექტემბრის ბოლომდე) ამერიკის რეზიდენტების შესახებ ანგარიშებთან დაკავშირებით.

ამერიკის მთავრობის მიერ შემოთავაზებული არის სამთავრობო ხელშეკრულების ორი მოდელი (IGA I, IGA II). პირველი მოდელის მიხედვით მონაწილე სახელმწიფო ახორციელებს შუამდგომლობას საფინანსო ინსტიტუტებსა და ამერიკის შეერთებულ შტატების შემოსავლების სამსახურს შორის, ხოლო მეორე მოდელის მიხედვით საფინანსო ინსტიტუტები პირდაპირ აწვდიან ინფორმაციას ამერიკის შეერთებულ შტატების შემოსავლების სამსახურს.

FATCA-ს შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების უკეთ კოორდინირების და მომავალში, ამერიკის მხარისაგან ანალოგიური ინფორმაციის მიღების მიზნით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული შეთანხმების დადება IGA I მოდელის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად ქვეყნების უმრავლესობას აღნიშნული ხელშეკრულება ამერიკულ მხარესთან დადებული აქვთ IGA I მოდელის მიხედვით, ხოლო IGA II მოდელის საფუძველზე ხელშეკრულება მხოლოდ ავსტრიას, ბერმუდის კუნძულებს, ჩილეს, ჰონკონგს, იაპონიას, მოლდოვას, და

შვეიცარიას აქვთ გაფორმებული (ქვეყნების სრული ჩამონათვალი - http://www.treasury.gov/resource-center/tax-policy/treaties/Pages/FATCA-Archive.aspx).

უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) ამოქმედების მიზნით საქართველოს მთავრობის მერ მიღებულ იქნა 2014 წლის 6 თებერვლის #156 განკარგულება, რის საფუძველზეც შეიქმნა უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA)" განხორციელებასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულების ტექსტის მიღებისა და მისი ძალაში შესვლის შემდგომ ხელშეკრულების პირობების ამოქმედების ხელშეწყობის უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი.

FATCA-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების განსახორციელებლად, გამოცდილების გაზიარების და მთავრობათაშორისი ხელშეკრულების ტექსტის შემუშავების მიზნით გაიმართა შეხვედრები საკონსულტაციო კომპანიებთან, რის ფარგლებშიც კომპანია Ernst & Young-მა წარმოადგინა საკუთარი წინადადება. საკონსულტაციო მომსახურების გაწევის თაობაზე გაფორმდა სამმხრივი ხელშეკრულება Ernst & Young-ს, ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს ბანკების ასოციაციას შორის, რის საფუძველზეც Ernst & Young-მა ქართულ მხარეს გაუწია კონსულტაცია ხელშეკრულების ტექსტის მომზადებასთან, საკანონმდებლო ცვლილებებთან და აქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით. ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, საკონსულტაციო კომპანიის მომსახურების ხარჯები გაწეულ იქნა საქართველოში მოქმედი საფინანსო ინსტიტუტების როგორც აღნიშნული შეთანხმების ამოქმედებით დაინტერესებული მხარეების მიერ.

2015 წლის 18 მაისის საქართველოს მთავრობის #1002 განკარგულების და საქართველოს პრემიერ-მინისტრის #208 ბრძანების შესაბამისად, 2015 წლის 10 ივლისს ხელი მოეწერა „ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის საერთაშორისო საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაუმჯობესების და უცხოური ანგარიშის საგადასახადო შესაბამისობის აქტის (FATCA) შესრულების მიზნით" შეთანხმებას.

შეთანხმებას საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერა საქართველოს ფინანსთა მინისტრმა, ბატონ ნოდარ ხადურმა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მხრიდან საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა, ბატონმა რიჩარდ ნორლანდმა.